საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-809

10/09/2020

ქ. თბილისი

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურის მიმდინარე საქმიანობისა და ქ. ფოთის 110 კვ ქვესადგურისა და 100 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურის მიმდინარე საქმიანობისა და ქ. ფოთის 110 კვ ქვესადგურისა და 100 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნა N72 (26.08.2020);
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N72 (26.08.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ფოთის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი